ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3757973

ნომერი: AR1566017

თარიღი : 20.12.2017

გაცემის თარიღი : 27.12.2017

გაცნობის თარიღი : 28.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაღმართი გიორგი სააკაძე , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინა არჩვაძე პ/ნ 62007003732
- გაგრა დ. ბიჭვინთა გოჩუას ქ. N 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
- იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, წარმოდგენილ იქნას კარგი ხარისხის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი (დღის ნათელ პერიოდში).
- ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად დაანგარიშებულ იქნას სარეკონსტრუქციო ფასადებისა და სარეკლამო აბრების პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე.
- ვინაიდან ჩასატარებელი სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს ქვემოიჯარეს, დამატებით წარმოდგენილ იქნას ქვემეიჯარის შპს "პანორამა"-ს წარმომადგენლად რეგისტრირებული უფლებამოსილი პირის, ვახტანგ კალაძის მიერ სათანადო წესით გაცემული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, ასევე შესაძლებელია აღნიშნული პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
- თქვენს მიერ წარმოდგენილი მესაკუთრის თანხმობა არ არის მისაღები, რადგან არ არის სათანადო წესით დამოწებული, შესაბამისად საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხმობა სათანადო წესით დამოწმებული. ასევე შესაძლებელია მესაკუთრის წარმომადგენლად რეგისტრირებული უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.